ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №254

07 ივნისი 2013 წელი ქ. ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10' მუხლის შესაბამისად.

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის ნიკოლოზ კაჭკაჭიშვილის სახით, (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი–ქ.ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის ნიკოლოზ კაჭკაჭიშვილის წერილი– 07.06.2013წ. №01–4295) (შემდგომში „შემსყიდველი")

მეორეს მხრივ ფ/პ ნოდარ ნაფეტვარიძის სახით (მის: ქ. თბილისი, ბეჟანაშვილის ქ. №25/12), (შემდგომში "მიმწოდებელი")

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული შენობის კომპიუტერული ქსელის მართვის პროგრამული უზრუნველყოფის სახელმწიფო შესყიდვა.

1.2. ხელშეკრულების ღირებულებაა 990 (ცხრაასოთხმოცდაათი) ლარი.

1.3. კლასიფიკატორის კოდი – 48200000

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

„შემსყიდველის" მხრიდან "მიმწოდებლის" მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ მომსახურებაზე კონტროლს განახორციელებს ქალაქ ქუთაისის მერიის საფინანსო სამსახური, თანახმად წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში გააჩნია უფლება შეაჩეროს მომსახურება.

„შემსყიდველი" ვალდებულია შეუფერხებლად აანაზღაუროს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულების შემდგომ, „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანხმლები დოკუმენტაციის წარდგენა „შემსყიდველისათვის" (გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია).

3 გარანტია

„მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შეასრულებს მომსახურებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4.ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება ხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ან/და მომსახურების შესაბამისად ამოწერილი ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე.

4.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო.

4.3 ანგარიშსწორების ვადაა: დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

5.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

5.1 შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა განსაზღვრულია მასზე ხელისმოწერის დღიდან – 2013 წლის 14 ივნისის ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 განხორციელებული მომსახურების დამტკიცებას ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე.

7. ფასები

7.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.

7.2 გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

7.3 დაუძლეველი ძალის პირობებში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 დაუძლეველი ძალის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

81.1 ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

8.1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

8.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

8.4 დაუძლეველი ძალის პირობებში.

9. მხარეთა უფლება მოვალეობები

9.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2 მხარე, რომელსაც შეექმნა დაუძლეველი ძალის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2013 წლის 08 ივლისის ჩათვლით.

14.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქალაქ ქუთაისის მერია	ფიზიკური პირი
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3	მის: ქ. თბილისი, ბეჟანაშვილის ქ. №25/12
ს.ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"	ს.ს. „საქართველოს ბანკი"
ქუთაისი ფილიალი	ქუთაისის ფილიალი
ბ/კოდი: UGEBGE22	ბ/კოდი: 220101543
ა/ა 33033303	ა/ა GE46BG0000000344591900
ს/კოდი: 212721170	პ/ნ 01019009680
ქალაქ ქუთაისის მერის	ფიზიკური პირი
მოვალეობის შემსრულებელი	
---	---
ნიკოლოზ კაჭკაჭიშვილი	ნოდარ ნაფეტვარიძე